პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 ოქტომბერი, კვირა, 1986 წ.
№ 201 (2362) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



თბილისში დაიწყო [illegible]ბჭოთა კავშირის გუნდური ჩემპიონატი თანამედრო-ვე [illegible] ისინი [illegible] ასპარეზობდნენ, დღეს კი, შეგახსენებთ, 11 საათიდან ისინი თბილისის იპოდრომზე შეიკრიბებიან და ცხენოსნობაში გაარკვევენ ურთიერთობას.

# როგორ ვეგებებით ზამთარს?

კარგ მეურნეს ზამთრის მოახლოებისა და ამასთან დაკავშირებული სიძნელეების შეხსენება, ცხადია, არ ჭირდება, მაგრამ გასული წლების გამოცდილებით ვიცით, ყველგან როდი იჭერენ დროულ თადარიგს. დაზამთრდება და მერე გაირკვევა ხოლმე, რომ ამა თუ იმ სპორტულ ბაზაზე სრულ წესრიგში არ არის გათბობა და განათება, ცხელი წყლით მომარაგება, ზოგან საწვავიც არ შეაქვთ დროულად.

ზამთრისთვის სპორტული ბაზების დროული მომზადება ყველა ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციის, ყველა უწყების გადაუდებელი საზრუნავია. როგორც ცნობილია, ჩვენს რესპუბლიკაში უკვე მიმდინარეობს ზამთრის სეზონისათვის საყოველთაო მზადების ერთთვიური. რედაქციაში შემოსული სიგნალები მოწმობს, რომ ზამთრის სეზონის შესახვედრად ბევრგან დღემდე არაფერი გაუკეთებიათ. მაგალითისთვის დავასახელებთ კასპის ჭიდაობის სპორტულ სკოლას, მცხეთის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის საჭიდაო დარბაზს (აქ ჭერიდან წყალიც ჩამოდის), მესტიის სპორტულ ობიექტებს.

როცა ზამთრის მოლოდინში ვართ, საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ სათბობ-საწვავისა და ელექტროენერგიის განსაკუთრებული მომჭირნეობით მოხმარების აუცილებლობა, ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ ამ საერთო სახალხო სიმდიდრეს გულმოდგინედ ვუფრთხილდებოდეთ, საიმედოდ უნდა გადავკეტოთ რესურსების უმიზნოდ და უყაირათოდ ხარჯვის გზები. ცხადია, მკაცრ კონტროლზე უნდა ავიყვანოთ რესურსების ლიმიტით ხარჯვა, თავიდან ავიცილოთ დატაცება თუ გადამეტებით მოხმარება, მოსალოდნელი შეფერხებები და ავარიები.

ამ დღეებში გამართულ სპორტსახკომის კოლეგიის სხდომის შემდეგ, ზამთრისათვის სპორტული ბაზების მომზადების საკითხზე სპორტსახკომისა და რედაქციის თანამშრომლებმა საგანგებო თათბირი ჩაატარეს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სპორტკომიტეტების თავმჯდომარეებთან. შეხვედრაზე ერთხელ კიდევ გაესვა ხაზი, რომ სპორტკომიტეტებმა ადგილებზე აუცილებლად უნდა განიხილონ ზამთრისათვის სპორტული ბაზების მომზადების საკითხი, მაგრამ არა მარტო განვიხილოთ, ბოლომდე გავუძღვეთ საქმეს. იქ კი, სადაც ეს საჭიროა, დროულად დავსვათ საკითხი სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების წინაშე. რედაქცია მკაცრ კონტროლს დააწესებს ადგილებზე ამ მოთხოვნის შესასრულებლად, გარდა ამისა განზრახული გვაქვს სპორტულ ბაზებზე ჩავატაროთ სპეციალური რეიდები.

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა ახალი გაზრდილი ამოცანების წინაშე დგას. იმაზე, თუ როგორ შეხვდება ზამთრის სეზონს ჩვენი სპორტული ბაზები, დამოკიდებული იქნება როგორც გამაჯანსაღებელი, ისე სპორტული ჯგუფების შეუფერხებელი მუშაობა, აღარაფერს ვამბობთ დიდ სპორტზე, სადაც ერთი დღის გაცდენამ შეიძლება ისე დაგწიოს უკან, დანაკარგი ერთ კვირაშიც ველარ აანაზღაურო.

ნუ დაგვავიწყდება, ახლანდელი მზიანი დღეები შეიძლება მოულოდნელად შეიცვალოს ცივი ამინდით, ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა მოვაწესრიგოთ სპორტული ბაზები. საჭიროების შემთხვევაში შეუფერხებლად უნდა განვაგრძოთ მუშაობა ჭერქვეშ. ეს დიდი მნიშვნელობის საკითხია.

ბავშვთა სპორტი მრავალმხრივ ყურადღებას მოითხოვს. რატომ არ ვზრუნავთ სოფლის მოზარდების სპორტული ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და ინვენტარით უკეთ მომარაგებაზე? სოფელი ხომ სპორტული ტალანტების საბადო და ქართული სპორტის თითქმის ხელუხლებელი რეზერვია.

იხ. 3ე-2 გვ.

## სოკ-ის 91-ე სესიამ მუშაობა დაამთავრა

# როგორ ჩატარდა კენჭისყრა?

ლოზანა. 1992 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარებაზე პრეტენზიას შვიდი ქალაქი აცხადებდა, ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე კი — ექვსი. არჩევნები, როგორც ვიუწყებოდით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 91-ე სესიის ბოლო დღეს შედგა, მაგრამ მას წინ უსწრებდა დიდი მოსამზადებელი სამუშაოები.

არჩევნებში მონაწილე ქვეყნებმა სოკ-ის სესიაზე პირველად ჩამოიყვანეს საზოგადო მოღვაწეები, მთავრობის ხელმძღვანელები, ცნობილი ჩემპიონები და პოპულარული მსახიობები. მათ თავიანთი ქვეყნებისთვის მხარი უნდა დაეჭირათ.

არჩევნები ჩატარდა ფარული კენჭისყრით, ტურებად (ვინაიდან ხმების აბსოლუტური უმრავლესობა — 43 ვერავინ დააგროვა). ბოლო ადგილზე გასული ქალაქი ავტომატურად ეთიშებოდა ბრძოლას. ფინალში, როგორც წესი, ორ-ორი ქალაქი გადიოდა. ჟურნალისტები არჩევნების პროცედურას, ჩვეულებისამებრ, არ ესწრებიან. მათ მთავარ დარბაზში მხოლოდ კენჭისყრის დამთავრების შემდეგ იწვევენ.

პირველად დასახელებულ იქნა ზამთრის ოლიმპიადის ქალაქი, მაგრამ შედეგები არ გამოცხადდა. დაელოდნენ ზაფხულის ოლიმპიადის „შედეგებს". სოკ-ის პრეზიდენტმა მხოლოდ ამის შემდეგ გახსნა კონვერტები და ჯერ ზაფხულის თამაშების მომწყობი ქალაქი ბარსელონა (ესპანეთი) დაასახელა, მერე კი ზამთრის ოლიმპიადის ორგანიზატორი ალბერვილი (საფრანგეთი). მხოლოდ ამის შემდეგ შეიტყო მსოფლიომ კენჭისყრის შედეგები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბარსელონამ ეს უფლება მხოლოდ მეოთხე ცდის შემდეგ მიიღო, ალბერვილმა კი — პირველსავე ცდაზე.

# დღეს იწყება მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში

1982 წლიდან მოყოლებული უნგრეთის დედაქალაქის სპორტის სასახლე „ბუდაპეშტმა" მოჭიდავეთა რამდენიმე დიდ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. აქ ჯერ მსოფლიო თასი ჩატარდა კლასიკურ ჭიდაობაში, მერე ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ და თავისუფალ სტილში, შარშან კი „ბუდაპეშტის" დიდებულ სასახლეში თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა მსოფლიო ჩემპიონატში სცადეს ძალები.

გავიდა ერთი წელი და „ბუდაპეშტი" კვლავ კეთილი მასპინძლის როლში გამოდის, ოღონდ ამჯერად, მსოფლიო ჩემპიონატში ორივე სტილის ფალავნები იასპარეზებენ.

დღეს, 19 ოქტომბერს შეჯიბრებაში თავისუფალი სტილის მოჭიდავეები ჩაებმებიან. სარბიელზე თავდაპირველად 48, 57, 68, 82 და 100 კგ წონითი კატეგორიის ათლეტები გამოვლენ, ორი დღის შემდეგ კი უკვე პირველ ჩემპიონთა ვინაობაც იქნება ცნობილი. 22 დეკემბერს მეძლებს დანარჩენი წონითი კატეგორიის მოჭიდავეები გაითამაშებენ.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირში ყველა ტიტულოვანი ათლეტის მონაწილეობაა მოსალოდნელი. ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირს საქვეყნოდ ცნობილი მოჭიდავეები გამოჰყავს, ისეთები, როგორებიც არიან შარშანდელ ჩემპიონატში გამარჯვებული ქოველი სერგეი ბელოგლაზოვი, ტაშკენტელი არსენ ფაძაევი, თბილისელი დავით გობეჯიშვილი, მაგრამ უმრავლესობა (6 მოჭიდავე) მაინც მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტი არის.

უნგრეთის დედაქალაქში ძლიერი შემადგენლობები ჩამოიყვანეს ბულგარეთმა, გდრ-მ, კსდრ-მ, კუბამ და სხვა ქვეყნებმა. აშშ-ს ნაკრების შემადგენლობაში, მაგალითად, გამოვლენ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორები, მათ შორის მარკ და დევიდ შულცები, კრის ბაუმგარტნერი და ა. შ.

შეგახსენებთ შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონთა ვინაობას (წონითი კატეგორიების მიხედვით): კიმ ჩერ ხვანი (კსდრ), ვ. იორდანოვი (ბულგარეთი), ს. ბელოგლაზოვი, ვ. ალექსეევი, ა. ფაძაევი (სამივე — სსრ კავშირი), რ. კასკარეტი (კუბა), მ. შულცი, ბ. შერე (ორივე — აშშ). ლ. ხაბელოვი, დ. გობეჯიშვილი (ორივე — სსრ კავშირი).

23 ოქტომბერს ასპარეზობაში „კლასიკოსები" ჩაებმებიან: პირველი ჩემპიონების ვინაობა ცნობილი გახდება 25 ოქტომბერს, შეჯიბრება კი ერთი დღის შემდეგ დამთავრდება.

კლასიკურ ჭიდაობაში სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გენადი საპუნოვმა (თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გუნდს ივან იარიგინი თავკაცობს) დაასახელა სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობა, რომელშიც წონითი კატეგორიების მიხედვით შევიდნენ:

## ნაკრებში ორი თბილისელია

მაგიატდინ ალახვერდიევი (ბაქო), სერგეი დიუდაევი (როსტოვი), ტიმერჯან კალიმულინი (ომსკი), კამანდარ მაჯიდოვი (მინსკი), ლევონ ჯულფალაკიანი (ლენინაკანი), მიხეილ მამიაშვილი (მოსკოვი), სერგეი ნასევიჩი (შახტი), თენგიზ თედორაძე (თბილისი), ანატოლი ფედორენკო (მინსკი), და ვლადიმერ გრიგორიევი (ჩელიაბინსკი).

როგორც ხედავთ, ბუდაპეშტში ორი თბილისელი მოჭიდავე იასპარეზებს — მსოფლიო ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი (თავისუფალში) და ამ ტურნირის დებიუტანტი თენგიზ თედორაძე (კლასიკურში).

## ელვა-ინფორმაცია

გუშინ ბორჯომში დამთავრდა ქალთა შორის მსოფლიო პირველობაზე მატჩი მაია ჩიბურდანიძესა და ელენა ახმილოვსკაიას შორის. მე-14 პარტიაში მე-20 სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, მატჩის საბოლოო ანგარიშია 8,5:5,5 მსოფლიო ჩემპიონის ჩიბურდანიძის სასარგებლოდ.

სსრ კავშირის ქალთა 46-ე ჩემპიონატი ჭადრაკში

# დაწინაურდა ნანა იოსელიანი

ფრუნზე, 18 ოქტომბერი (დეპეშით, „ლელოს" სპეც. კორ.). მოეწყო 6 ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრება, რომლის შედეგებმაც სიცხადე შეიტანეს გათამაშების ცხრილში.

**I ტური:** ლევიტინა — მუჩნიკი 1:0; **II ტური:** მუჩნიკი — ლელჩუკი 0,5:0,5; **III ტური:** არახამია — ზაიცევა 0,5:0,5, ლევიტინა — რუჩიევა 0,5:0,5; **IV ტური:** იოსელიანი — ეპშტეინი 1:0, არახამია — სახაროვა 1:0, სემიონოვა — მატვეევა 1:0, ზაიცევა — ბაგინსკაიტე 0,5:0,5; **V ტური:** მატვეევა — იოსელიანი 0:1; **VI ტური:** უსკოვა — გურიელი 0:1, მუჩნიკი — მატვეევა 1:0.

სასიხარულოა, რომ სატურნირო ცხრილს სათავეში ქართველი მოჭადრაკეები მოექცნენ. ახლა ნანა იოსელიანს 5 ქულა აქვს, ქეთევან არახამიასა და ზოია ლელჩუკს — 4,5-4,5, ნინო გურიელსა და ირინა ლევიტინას — 4-4, ლიდია სემიონოვას — 3,5 (1).

ავადმყოფობის გამო შეჯიბრებას გამოეთიშა ლვოველი მარტა ლიტინსკაია და მისი ყველა შედეგი გაუქმებულია.

**იაკობ ლაპიდუსი.**

# გაისად უმაღლეს ლიგაში

კლასიკურ ჭიდაობაში საკავშირო თასის გათამაშების სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: 1985 წლის სპორტული შედეგების მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები სამ ჯგუფად დაიყვნენ: უმაღლეს ლიგაში მოხვდნენ ის კოლექტივები, რომლებმაც შარშანდელი მაჩვენებლების მიხედვით კომპლექსურ ჩათვლაში I-VI ადგილები დაიკავეს, მომდევნო 6 გუნდმა პირველ ლიგაში დაიმკვიდრა ადგილი, დანარჩენებმა — მეორეში. უკვე გაიმართა I და II ლიგის წარმომადგენელთა შეჯიბრება, მალე საბჭოთა კავშირის თასისთვის პირველი ექვსეული დაიწყებს ბრძოლას.

საქართველოს „კლასიკოსებმა", რომლებიც შარშანდელი შედეგებით I ლიგაში მოხვდნენ, ამ დღეებში უზბეკეთის ქალაქ ნავაიში იასპარეზეს. უმაღლესი ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში ექვსი გუნდი ჩაება. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა I და II წრეში იოლად დაამარცხეს ტაჯიკეთისა (10:0) და ესტონეთის (8:2) მოჭიდავეები. პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს და უზბეკეთის კოლექტივების შეხვედრას, რადგან გამარჯვებული უკვე პირველ ადგილს ინაღდებდა. თავდაპირველად მასპინძლები დაწინაურდნენ (4:1), მაგრამ შემდეგ ქართველმა ფალავნებმა ზედიზედ ხუთი ბრძოლა მოიგეს და საბოლოოდ ანგარიშით 6:4 გაიმარჯვეს. ამის შემდეგ ჩვენმა ნაკრებმა მოლდავეთისა (8:2) და აზერბაიჯანის (6:4) გუნდებსაც მოუგო, პირველი ადგილი დაიკავა და უმაღლესი ლიგის საგზური მიიღო.

საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ გელა პაპაშვილი („ლოკომოტივი"), მამუკა ბაბლუანი („შრომით რეზერვები"), ზაზა ჩაკვეტაძე („დინამო"), აკაკი ჯანგავაძე („დინამო"), ვასილ ონიანი („დინამო"), მამუკა გიგაური („კოლმეურნე"), ჯემალ ბაკურიძე („დინამო"), ბესარიონ აფციაური („დინამო"), ზაურ ივანაშვილი (ასკ), ვახტანგ დონღუზაშვილი („კოლმეურნე"), და ვასილ ქარსელაძე (ასკ).

აქვე უნდა ითქვას, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობა ვერ მიიღეს ჩვენი ნაკრების ლიდერებმა — თეიმურაზ აფხაზავამ, თენგიზ თედორაძემ და გურამ გედეხაურმა, რომლებიც საკავშირო ნაკრებთან ერთად საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდნენ.

ბოლოს წარმოგიდგენთ ჩვენი გუნდის მწვრთნელებს: თეიმურაზ ყაზარაშვილი (უფროსი მწვრთნელი), ილია ჩხარტიშვილი, ომარ ბლიაძე, თემურ ნინიკაური და ჯუმბერ გაფრინდაშვილი.



სურათზე: საქართველოს „კლასიკოსთა" ნაკრები.

## სპორტი — ჯანმრთელობის სამსახურში

# „ქუთაისის რკალი — 86“

ამ დღეებში ქუთაისში არაერთი მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიება ჩატარდა.

ქალაქის სპორტკომიტეტის წინასწარ შემუშავებული გეგმით დასვენების დღეებში შესაძლებელი გახდა თითქმის ყველა სპორტული ბაზის, საცურაო აუზის, მარტივი ტიპის სპორტული მოედნის დატვირთვა, ისინი ძირითადად საწარმო-დაწესებულებათა ძირეულ-ფიზკულტურულ კოლექტივებს დაეთმოთ. პირველად ჩატარდა პირველობა გამაჯანსაღებელ ჯგუფებს შორის. სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამართულ შეჯიბრებებში სულ 1500-მდე ქუთაისელმა მიიღო მონაწილეობა.

ახლახანს აქ ჩატარდა წვევამდელთა ტრადიციული სპარტაკიადა მშდ მრავალჭიდში. ლენინისა და ავტოქარხნის რაიონების სპორტკომიტეტებმა მოაწყვეს საოჯახო სპარტაკიადა დევიზით „დედა, მამა, მე — სპორტული ოჯახი!“, ლენინის რაიონში აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მუშის გივი ერმალენკოს ოჯახმა გაიმარჯვა, ავტოქარხნის რაიონში კი — რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის ფიზკულტურის ინსტრუქტორის ვანგელი მინდაძის ოჯახმა.

ამავე დღეებში საქალაქო პირველობები გაიმართა ჭიდაობა სამბოსა და ძიუდოში. „განთიადის“ ქუთაისის საქალაქო საბჭომ ჩაატარა ასევე ტრადიციული შეჯიბრება — „მთელი ბრიგადით სტადიონზე!“ ამ საინტერესო შეჯიბრებაში 50 ბრიგადის 800-მდე წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. უფროსებს ბავშვებიც შეუერთდნენ. I-IV კლასების ათასამდე მოსწავლემ სცადა ძალა „მხიარული სტარტების“ პირველ ეტაპზე, უფროსკლასელებმა კი მოჭადრაკე ვაჟთა და გოგონათა საქალაქო შერჩევით პირველობაზე იასპარეზეს. ტურნირში, რომელიც შვეიცარიული სისტემით ჩატარდა, 70 ნორჩი მოჭადრაკე გამოვიდა. პირველი ადგილი მე-15 საშუალო სკოლის მოსწავლემ ალექსანდრე გულოვმა დაიკავა, მეორე-მესამე ადგილებზე აკაკი სონგულია (მე-3 სკოლა) და გიორგი ნეფარიძე (31-ე სკოლა) გავიდნენ, (გოგონათა შეჯიბრებაში პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს ირმა ნაროუშვილმა და ირინა ქლიბაძემ, მესამე ადგილი შორენა ცქიტიშვილმა დაიკავა.

ქუთათურთა დიდი ინტერესი გამოიწვია უბნებს შორის გამართულმა საქალაქო პირველობამ მინი-ფეხბურთში, აქ 18 უბნის გუნდი ეცილება ერთმანეთს, 5-7 ოქტომბერს 12 მატჩი გაიმართა და ქვეჯგუფში გამარჯვებული გუნდებიც გამოვლინდნენ. ნახევარფინალში გავიდნენ ჭომელები და ბალახვნელები, გორისუბნელები და ზასტაველები, საფიჩხიელები და მუხნარელები...

სპორტული ზეიმი დასრულდა მძლეოსნური ესტაფეტით „ქუთაისის რკალი-86“. ამჯერად სტარტზე ძირეულ-ფიზკულტურული კოლექტივების, საშუალო, ტექნიკური, პროფტექნიკური და უმაღლესი სასწავლებლების 34 გუნდის 810 მორბენალი გამოვიდა. პირველი ადგილი დაიკავეს რკინიგზის კვანძის წარმომადგენლებმა.

დასკვნით დღეებში თავი გამოიჩინეს ელექტრომექანიკური (დირექტორი ა. მურღულია, ფიზ. ინსტრუქტორი ა. მიქაბერიძე), მოტობლოკების (ა. ჩაცვლიშვილი, მ. ხვისტანი) და რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა (შ. ჩიხლაძე, ვ. მინდაძე) ქარხნების კოლექტივებმა. ყველაზე ბევრ მონაწილეს უმასპინძლა და მრავალი საინტერესო შეჯიბრება ჩატარდა ელექტრომექანიკური ქარხნის სპორტდარბაზში (დირექტორი ოთარ კაკულია).

სულ ამ დღეებში ქუთაისში 12 სპორტული ღონისძიება ჩატარდა, რომელშიც 10 000-ზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.

**თამაზ ხარაბაძე.**
(„ლელოს“ საკ. კორ.).

## რეპლიკა

# ბავშვები გველოდებიან...

დადგა თუ არა ახალი სასწავლო წელი, რედაქციაში იმრავლა ინფორმაციებმა იმის შესახებ, რომ რაიონულ ცენტრებში, განსაკუთრებით სოფლის მაღაზიებში არ არის სასკოლო ასაკის მოსწავლეთა სპორტული ფორმა — უბრალო რეიტუზები და კედებიც კი. სასზგასმა, ცხადია, არ ჭირდება იმას, რომ ფიზკულტურის გაკვეთილების ეფექტიანობა და ხარისხი, თუ გნებავთ, ემოციური დატვირთვაც, გაცილებით დიდია, როცა სპორტულ დარბაზში თუ მოედანზე მოსწავლეები გამოდიან სპორტული ფორმით. არადა, ეს აუცილებელია. აღარაფერს ვამბობთ კლასგარეშე და სკოლისგარეშე ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაზე, ბავშვებისათვის ინდივიდუალურად სავარჯიშო სპორტული ინვენტარით სოფლების უზრუნველყოფაზე.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ჯერ კიდევ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე (იხილეთ „ლელო“, 24 ივლისი, 1986 წ.) დაიბეჭდა წერილი, რომელშიაც საბითუმო გაერთიანება „სპორტსაქონელს“ შევთავაზეთ წინადადება ამ ქსელის მაღაზიების მეშვეობით გასვლითი ვაჭრობის მოწყობის შესახებ. გაზეთის გამოსვლასთან დაკავშირებით რედაქციას დღემდე არ მიუღია პასუხი, ცხადია, არც სოფლებში გასვლით ვაჭრობაზე უზრუნია ვინმეს. იქნებ ჩვენი წინადადება მიუღებელი იყო, კეთილი და პატიოსანი, მაგრამ დასაბუთებულ პასუხს რა დაუდგა წინ?

ჩვენ სპეციალურად შევიარეთ თბილისის სპორტულ მაღაზიებში და ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ ის, რაც აქ დახლზე თვეობით და წლობით უმოძრაოდ აწყვია, ასე სჭირდებათ სოფლის მოსწავლეებს.

რესპუბლიკაში ერთადერთი სპეციალური სპორტული მაღაზია, რომელიც ბავშვებისთვისაა განკუთვნილი, თბილისშია. ესაა მაღაზია „იმედი“, იგი ჩვენი რედაქციის გვერდითაა და, ცხადია, ზოგიერთი საკითხის დასაზუსტებლად გუშინ სწორედ ამ მაღაზიას მივაკითხეთ.

— გასვლითი ვაჭრობა? — თვალები გაუბრწყინდა უფროს გამყიდველს ია სალაშვილს, — ოღონდ ნება დაგვრთონ. მანქანა გამოყონ და პირადად მე წავალ სოფლებში. ერთ მუდმივ სავაჭრო ჯიხურს, როგორც ფილიალს, დიდუბეში ავტოსადგურთან თუ გამოგვიყოფენ, საქმეს ესეც დიდად უშველის.

სწორი წინადადებაა, რომელსაც არ შეიძლება არ დაეთანხმო და მხარი არ დაუჭირონ იმ ორგანიზაციებმა, ვისაც ეს ეხება. აუცილებლად უნდა მოგვარდეს თუნდაც თბილისის ახლომდებარე რაიონების სოფლებში ამ მაღაზიის გასვლითი ვაჭრობა. მით უფრო, რომ ახლა მაღაზიის საწყობში ბავშვებისათვის განკუთვნილი 256 ათასი მანეთის სპორტული ნაწარმი აწყვია. ამ საქონლის დიდი რაოდენობა აქ ჯერ კიდევ ამ 3-4 წლის წინათაა შეტანილი.

სტერეოტიპი ყველაფერში მომაკვდინებელია, განსაკუთრებით ვაჭრობაში. ყველფერს რომ თავი დავანებოთ, ექსპერიმენტს რა აბრკოლებს, ვნახოთ, მოვსინჯოთ, ამას ჩვენი მოზარდების, მათი კეთილდღეობის, ქართული სპორტის ინტერესები მოითხოვს. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ეს ღონისძიება ორმხრივ იქნება სასარგებლო — იმ სპორტული ნაწარმის რეალიზაცია, რომელიც ნაშთად აწევს დედაქალაქის სპორტულ მაღაზიებს, გეგმების შესრულებაში დიდად დაეხმარება სავაჭრო ქსელს.

როგორც გვითხრეს, ბავშვთა სპორტულ მაღაზია „იმედს“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საბითუმო გაერთიანება „სპორტსაქონლის“ ხელმძღვანელობა. იმედს ვიტოვებთ, რომ ეს ორგანიზაცია ამჯერად მაინც არ დატოვებს უყურადღებოდ ჩვენს წინადადებას.

## გარი მერკვილაძის პრიზზე

# როცა დაცვაში მოვიკოჭლებთ

მოზარდ წყალბურთელთა ტურნირი საბჭოთა კავშირის გმირის გარი მერკვილაძის სახელობის პრიზზე საკავშირო სპორტსახკომის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარშია შეტანილი. ასეთი რანგის კიდევ ორი საკავშირო შეჯიბრება ეწყობა: ლვოვისა (თებერვალში) და მოსკოვის (მაისში) ტრადიციული ტურნირები, მაგრამ მოასპარეზეთა სიძლიერით ყველასაგან გამოირჩევა ბათუმის ტრადიციული ტურნირი.

შეჯიბრების მონაწილენი ორ ქვეჯგუფად გაიყვნენ, პირველში მოხვდნენ უკრაინის, უზბეკეთის, მოლდავეთის, სომხეთის, თბილისისა და ბათუმის კოლექტივები. თბილისელმა წყალბურთელებმა, რომლებიც მხოლოდ უკრაინელებთან დამარცხდნენ, მეორე ადგილი დაიკავეს და უკრაინელებთან და მოლდაველებთან ერთად ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. მეორე ქვეჯგუფში ყველას მოსკოველებმა აჯობეს. მათთან ერთად ფინალში გავიდნენ ბელორუსიისა და აზერბაიჯანის გუნდები.

გადამწყვეტ ორთაბრძოლაში მოსკოვისა და უკრაინის გუნდები შეხვდნენ. ეს საინტერესო შეხვედრა ფრედ — 8:8 დამთავრდა და გ. მერკვილაძის სახელობის პრიზი ბურთების უკეთესი სხვაობის მქონე მოსკოველმა წყალბურთელებმა დაისაკუთრეს. მესამე ადგილზე თბილისელები გავიდნენ. ისინი მოსკოველებთან (10:13) და უკრაინელებთან (8:9) დამარცხდნენ, ხოლო ბელორუსიისა და აზერბაიჯანის წყალბურთელებთან შეხვედრაში გაიმარჯვეს (შესაბამისად 16:7 და 14:12).

ტურნირზე საუკეთესო მეკარისთვის დაწესებული პრიზი უკრაინელ დ. ბორეცკის გადაეცა, თავდამსხმელისა — ზ. დავითიანს (თბილისი), მცველისა — ა. ტრეტიაკოვს (მოსკოვი); საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის დროს ტრაგიკულად დაღუპული ბათუმელი წყალბურთელის მიხეილ ლისენკოს სახელობის პრიზი, რომელიც საუკეთესო ბომბარდირისთვის დააწესეს, ბაქოელმა ვ. გუდინმა მოიპოვა.

ტურნირის დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ საქართველოს განათლების სამინისტროს მთავარ მწვრთნელს წყალბურთში, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ვლადიმერ ბარნაბიშვილს.

— ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული, — გვითხრა მან. — ბრძოლებიც დაძაბულად, უშეღავათოდ წარიმართა. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანელები პრიზიორთა მიღმა დარჩნენ, მაინც მათ გამოვყოფ. გუნდში ყველა მოთამაშე სტაბილურად გამოდის. მათი ლიდერის, გუდინის სახით საბჭოთა წყალბურთს ჩინებული სპორტსმენი ეზრდება. რაც შეეხება თბილისის გუნდს, რომელიც ფაქტიურად საქართველოს ნაკრები იყო, მისი ლიდერი ზ. დავითიანი საკავშირო ნაკრების წევრია, მაგრამ იგი, ისე როგორც მისი თანაგუნდელები, ჯერჯერობით სუსტად თამაშობს დაცვაში, რისთვისაც ხშირად ჯარიმდება. მაგალითად, მოსკოველებთან შეხვედრაში მეორე პერიოდში 4 ბურთით დავწინაურდით, მაგრამ მას შემდეგ, რაც დავითიანს აუზი დაატოვებინეს, შეხვედრაც წავაგეთ, რადგან მისი სრულფასოვანი შემცვლელი არა გვყავს. ასე რომ, რესპუბლიკის ყველა რეგიონში, სადაც ნორჩ წყალბურთელებს ზრდიან, განსაკუთრებული ყურადღება დაცვაში თამაშის ხარისხის ამაღლებას უნდა მიექცეს.

**ლევან ქავჟარაძე.**
(„ლელოს“ საკ. კორ).

ბათუმი.

## დოსააფის ორგანიზაციაში

# ვინ შჯობს

**თერჯოლაში,** დოსააფის რაიონული კომიტეტის ინიციატივით, მოეწყო სარაიონო პირველობა ავტომობილის ფიგურულ ტარებაში. შეჯიბრებაში, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69-ე წლისთავს მიეძღვნა, საწარმო-დაწესებულებების ავტომოყვარულთა გუნდები მონაწილეობდნენ. პირველი ადგილი დაიკავა რაიონის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების ავტომობილისტთა გუნდმა, II ადგილზე შამპანური ღვინის ქარხნის გუნდი გავიდა, მესამეზე — საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს წარმომადგენლები არიან. პირად პირველობაში გაიმარჯვა დოსააფის რაიონული კომიტეტის თანამშრომელმა ოთარ კუპატაძემ, II ადგილი წილად ხვდა მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების გუნდის წევრს გოჩა ჩანკვეტაძეს, III იყო შამპანური ღვინის ქარხნის თანამშრომელი გურამ რობაქიძე.

გამარჯვებულ სპორტსმენებს დოსააფის თერჯოლის რაიონული კომიტეტის მიერ დაწესებული პრიზები და შესაბამისი ხარისხის სიგელები გადაეცათ.

**ვანო კუტალაძე,**
„ლელოს“ კორესპონდენტი.

## 2500 მადლობა

**წნორში** უშუალოდ საცხოვრებელ ადგილებში ჩატარდა მასობრივ-გამაჯანსაღებელი შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკში და მძლეოსნურ კროსში. სტარტზე გამოვიდა სხვადასხვა ასაკის 2500-მდე ადამიანი. შეჯიბრებები კარგად იყო ორგანიზებული და მონაწილეთა დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

„ლელოს“ კორ.

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# „იკარგება დრო, ენერგია, ხარჯები...“

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტი № 3 „თბილმრეწვმშენი“

**გაზეთ** „ლელოს“ 1986 წლის 2 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში გაკრიტიკებული იყვნენ „დოსააფის საზღვაო სკოლის“ მშენებლები. ობიექტი მართლაც ნელი ტემპებით შენდება, რაშიც ბრალი მიუძღვით გენერალურ მოიჯარესა და სუბმოიჯარე ორგანიზაციებს. მექანიზაციის ტრესტმა დააგვიანა მიწის სამუშაოების ჩატარება და ჯერაც არ დაუმთავრებია ვერტიკალური დაგეგმარება. დაგვიანებით შეუდგა ლითონკონსტრუქციების მონტაჟს ლითონკონსტრუქციების ტრესტი. მშენებლები დიდ ხიდნელეებს წააწყდნენ 42-მეტრიანი ფერმების დამონტაჟებისას, რადგანაც, ასეთი სიგრძის ფერმები პირველად მონტაჟდება ჩვენს რესპუბლიკაში.

თუ ობიექტურად განვიხილავთ შექმნილ ვითარებას, არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის საყვედურს იმსახურებს არა მარტო გენერალური მოიჯარე, არამედ შემკვეთი ორგანიზაციაც.

სამინისტროს, ტრესტის არაერთგზის შეხსენების (07.06.85 წლის № 22-9/7-122 წერილი და 30.05.85 წლის № 23-9/31-209 წერილი) მიუხედავად, დღესდღეობით ობიექტი არ არის უზრუნველყოფილი 1984 წლის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით.

ამასთან, შემკვეთს დღემდე არ გადაუწყვეტია გარე კომუნიკაციების შეერთებისა და მისასვლელი გზის გადატანის საკითხები. გარდა ამისა, საბოილერო და საფილტრაციო კამერები არ არის უზრუნველყოფილი მოწყობილობის სრული კომპლექტით, რაც სუბსაიჯარო ორგანიზაციებს არ აძლევს სამუშაოების დამთავრების საშუალებას.

ტრესტი № 3 გაითვალისწინებს გაზეთის კრიტიკულ გამოსვლას და მიიღებს ზომებს „დოსააფის საზღვაო სკოლის“ ობიექტზე შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

**ა. ჯოჯუა,**
№ 3 ტრესტის მთავარი ინჟინერი.

# კარგი საჩუქარი

**რუსთავში,** იალღუჯის მთის ფერდობების ძირას, გორის ქუჩაზე მწყობრში ჩადგა ახალი ბაზა მრგვალ სტენდზე მსროლელებისთვის. სპორტის მოყვარულებს ეს საჩუქარი მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებამ მოუმზადა.

სპორტული ბაზის გახსნის საზეიმო ცერემონიალს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. შარტავა და საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ი. მაჭავარიანი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ზ. მაჩხანელი, სპორტის დამსახურებული ოსტატები ტ. ქლენტი, თ. მატოიანი, საქართველოს სპორტსახკომის სროლის სახეობათა განყოფილების უფროსი ლ. თეკოშვილი, საქართველოს მონადირეთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე გ. მემარნიშვილი და სხვები. სიტყვით გამოვიდნენ რუსთავის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე კ. ნაჭყებია, საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის დოცენტი, სპორტის საპატიო ოსტატი შ. ჩახნაშვილი და თ. იმნაიშვილი.

ახალი სპორტული ბაზის გამგემ თ. უკლებამ თქვა, რომ განზრახულია აქ აშენდეს კიდევ ერთი ასეთი მოედანი, სადაც შეჯიბრებები მოეწყობა სასანგრე და „გაქცეულ ტახზე“ სროლაში. უახლოეს მომავალში სპორტული და სააბონენტო ჯგუფებიც გაიხსნება. ასე რომ, სროლის მოყვარულებს თავიანთი შესაკრებელი ადგილი ექნებათ.

სპორტული ბაზის გახსნის შემდეგ გაიმართა რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენთა საჩვენებელი გამოსვლები.

**რაჟდენ გაბრიჩიძე.**

რუსთავი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

17 ოქტომბერს დაიწყო საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, 26-ე ტურის შეხვედრები, რომლებიც დღეს დამთავრდება. საქართველოს გუნდებმა — თბილისის „დინამომ“ და ქუთაისის „ტორპედომ“ სტუმრად გამართეს მეტად დიდმნიშვნელოვანი მატჩები მინსკსა და კიევში.

სანამ უშუალოდ ამ მატჩების რეცენზირებას შევუდგებით, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმ სატურნირო მდგომარეობაზე, რომელიც ჩემპიონატის ფინიშზე შეიქმნა.

თბილისის დინამოელებს 26-ე ტურისათვის საუკეთესო პერსპექტივები გააჩნდათ. მთელი სეზონის ხანგრძლივი, მეტად კრიზისული მდგომარეობის შემდეგ ჩვენმა პირველმა გუნდმა, როგორც იქნა, გამოავლინა თავისი პოტენციური შესაძლებლობანი, აამოქმედა მთელი რეზერვები და სტუმრად თუ შინ ზედიზედ 4 გამარჯვება მოიპოვა. როცა ქულათა ძველ მარაგს ეს ახალი 8 ქულა დაემატა, თბილისელებმა გათამაშების ცხრილში III ადგილზე გადაინაცვლეს და გუნდის გულშემატკივრებს სრული საფუძველი მიეცათ ეფიქრათ თბილისის „დინამოს“ აღორძინებაზე. ის 8 ქულა დინამოელთათვის არავის უჩუქნია, კოლექტივი ყოველ მატჩში თავგამოდებით იბრძოდა, ყოველმხრივ მობილიზებული და საბრძოლოდ შეთამაშებულნი ჩანდნენ ვეტერანებიც, ახალგაზრდებიც. გუნდის თამაშის ხარისხი, მისი კლასი რეალურ საფუძველს გვიქმნიდა საიმისოდ, რომ უკვე წლევანდელ ჩემპიონატში მოწინავე პოზიციებზე გვეფიქრა და ევროპის მომავალი საკლუბო გათამაშებისთვის უეფა-ს ტურნირის საგზურზე აგვეღო ორიენტაცია.

ვიმეორებთ: დინამოელთა მიერ ბოლო 4 ტურში მოპოვებული გამარჯვებები იმედს გვაძლევდა, რომ მძიმე ჩავარდნა განვლილი ეტაპია, თბილისის „დინამო“ კვლავ „დინამოდ“ რჩებოდა.

მაგრამ მინსკის „დინამოსთან“ 17 ოქტომბერს ესოდენ უსუსურად, უმწეოდ ჩატარებულმა მატჩმა სრული სიცხადით ნათელჰყო, რომ საიმედო აღორძინებამდე ჩვენს გუნდს ჯერ კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი აკლია. საკმარისი გახდა იგი ექსტრემალურ ვითარებაში შეხვედროდა შეუპოვარი ბრძოლისთვის პრინციპულად განწყობილ მეტოქეს, რომ მთელს ჩვენს იმედებს ცივი წყალი გადაესხა.

არავითარ შემთხვევაში არ გვინდა წუთით მაინც ვიფიქროთ, რომ ახლანდელი თბილისის „დინამო“ თავისი კლასით, თამაშის საერთო ხარისხით ისე ჩამორჩა მინსკის „დინამოს“, რომ 4 „მრალი“ ბურთი დათმო ბელორუსიის დედაქალაქში, თუნდაც, იმ სიტუაციაში, როცა გუნდს აკლდნენ გაბელია და სულაქველიძე. კლასი ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია, საქმე, მისი ვითარება, ჩვენი აზრით, უფრო „პროზაული“ მიზეზებით აიხსნება.

მინსკის „დინამო“ ამ მატჩში მაქსიმალურად მობილიზებული იყო საბრძოლველად, თითოეული მოთამაშე ისე განეწყო თამაშისათვის, რომ გამარჯვების გარდა სხვა არავითარ ალტერნატივას არ ხედავდა. მინსკელებმა ყველაფერი გააკეთეს, რაც კი შეეძლოთ, იბრძოლეს თავგანწირვით, მონდომებით, კოლექტიურად, ერთმანეთის დაუღალავი დახმარებით და ხელშეწყობით. და როცა თბილისის დინამოელები ასე კატეგორიულად განწყობილ მეტოქეს შეხვდნენ მინდორზე, ერთიანად დაყარეს ფარ-ხმალი, ვერ გაუძლეს მატჩის ფსიქიკურ და მორალურ დატვირთვას, იოტის ოდენა ნებისყოფის სიმტკიცე და გაბედულება ვერ გამოიჩინეს და პირწმინდად ჩააბარეს თამაშის სადავეები მეტოქეს.

უკვე მაშინ, როცა მინსკელები ანგარიშით 4:0 იგებდნენ, და გამარჯვებულის ვინაობა არავითარ ეჭვს არ იწვევდა, მინსკელებმა ოდნავ შეანელეს თამაში და, აი, მხოლოდ მაშინ, ბევრად თუ ნაკლებად, გამოიღეს ხელი თბილისელებმა, ამით კიდევ უფრო ცხადყვეს, რომ ნამდვილ სპორტულ დაძაბულობაში მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ მეტოქეებს და მარტოოდენ მაშინ შეეძლოთ რამდენადმე დამაკმაყოფილებელი თამაში, თუ კი მინსკელები მათ ამის ნებას დართავდნენ.

ერთი სიტყვით, მინსკში დავმარცხდით სწორედ ჩვენი გუნდის უნებისყოფობის, საბრძოლო შემართების უქონლობისა და საბრძოლო სულისკვეთების სიღატაკის გამო. და ეს მაშინ, როცა ყველაფერი პირიქით უნდა ყოფილიყო, როცა თბილისის დინამოელებს ახალი გამარჯვება უნდა მიეძღვნათ თავიანთი გულშემატკივრებისთვის, კიდევ უფრო განემტკიცებინათ შრომით და ჯაფით მოპოვებული პოზიციები. ისღა დაგვრჩენია ვიმედოვნოთ, რომ თბილისის „დინამო“ მსგავს სამწუხარო რეციდივს მომავალში აღარ გაიმეორებს, იბრძოლებს და ითამაშებს ისე, როგორც საჭიროა. ხოლო თუ როგორ არ უნდა თამაში, მათ ეს უკვე გვაჩვენეს მინსკში...

დაბოლოს, მოგახსენებთ ამ სავალალო მატჩის სტატისტიკურ პერიპეტიებს: მატჩი იმით დაიწყო, რომ მასპინძლებმა მძლავრად შეუტიეს და უკვე მე-5 წუთზე კურნენინმა სოკოლის გადაცემით შორი მანძილიდან თავით გაგზავნა ბურთი ბადეში — 1:0. ხუთიოდე წუთის მერე ალეინიკოვმა 2:0-მდე გაზარდა ანგარიში, ხოლო ტაიმის დასასრულს კურნენინ-კონდრატიევის კომბინაცია მესამე გოლით დამთავრდა.

რა დაუპირისპირეს თბილისელებმა გამარჯვებულებს პირველ 45 წუთში? გაუბედავი, ქაოტური თამაში, ცალკეული რგოლებისა და მოთამაშეების სრული შეუთანხმებლობა.

განახლდა თამაში მეორე ტაიმში და უკვე 48-ე წუთზე კისტენმა შორი მანძილიდან მეოთხე ბურთი გაიტანა ბალაძის კარში. ამის მერე მასპინძლებს ყოველგვარი პრობლემა მოეხსნათ, მათ წყნარ კალაპოტში გადაიყვანეს თამაში და უხიფათოდ, მშვიდობიანად გავიდნენ გამარჯვებულის ნაპირზე.

**მინსკის „დინამომ“** ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ვერგეიჩიკი, ბოროვსკი, კურნენინი, იანუშევსკი, ტრუხანი, ზიგმანტოვიჩი, როდნენოკი (რუმბუტისი), კისტენი, ალეინიკოვი, სოკოლი (დერკაჩი), კონდრატიევი; **თბილისის „დინამო“**: ბალაძე, კეტაშვილი, ჩივაძე, ჰედია, გოგრიჭიანი, ჩეკუნოვი, სვანაძე, ცვეიბა, ცაავა (მესხი), ჩელებაძე, რევიშვილი (მიქაბერიძე). მსაჯი მ. სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი), გააფრთხილეს ჰედია. დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა — 1:0, ბურთი გაიტანა ფანცულაიამ.

ასეთივე სამწუხარო მარცხი განიცადეს ქუთაისის ტორპედოელებმა კიევში. ამ მატჩის შესახებ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქუთაისელებს კვლავ აკლდათ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე, რომელთა არყოფნა ძალზე მძიმე დაღს ამჩნევს კოლექტივს. იმ პირობებში, როცა კიეველები უძლიერესი შემადგენლობით გამოვიდნენ და მთელი შესაძლებლობით ითამაშეს საკუთარ მინდორზე, ტორპედოელებმა, ელემენტარულად, ვერაფერი გააწყეს ძლიერ მეტოქესთან.

კიეველები თავიდანვე ფლობდნენ ინიციატივას, უტევდნენ მეთოდურად, ენერგიულად, თუმცა, წარმატებას მხოლოდ ტაიმის მეორე ნახევარში მიაღწიეს. ანგარიში ბლოხინმა გახსნა 29-ე წუთზე, შემდეგ რაცმა და დემიანენკომ კიდევ უფრო დააწინაურეს „დინამო“ — 3:0.

შესვენების შემდეგ, 50-ე წუთზე, ევტუშენკომ მეოთხე ბურთი გაიტანა და უკვე მატჩის ბოლო წუთზე იაკოვენკომ საბოლოო წერტილი დაუსვა ანგარიშს — 5:0.

მეტოქეთა შემადგენლობანი: **„დინამო“** — ჩანოვი (მიხაილოვი), ბესონოვი, ჩგორილი, კუზნეცოვი, დემიანენკო, რაცი, იაკოვენკო, ბალი, ბელანოვი, ევტუშენკო, ბლოხინი (მიხაილიჩენკო); **„ტორპედო“** — მიქაძე, ფრუიძე, ჰელიძე, მალანია, თევზაძე, პაპავა, კოროლიძე, ხუნდაძე, ტყავაძე, მანაგაძე, შენგელია. მსაჯი ა. სპირინი (მოსკოვი). დუბლიორები — 3:0 კიეველთა სასარგებლოდ.

**17 ოქტომბერს ჩვენს გუნდებს ძალზე მძიმე დღე დაადგათ. უმაღლეს ლიგაში წააგეს თბილისელებმაც და ქუთაისელებმაც, I ლიგაში დამარცხდა უმაღლესი ლიგის საგზურის ერთ-ერთი პრეტენდენტი ლანჩხუთის „გურია“, შინ წააგო თამაში ბათუმის „დინამომაც“, თანაც, ერთ-ერთ აუტსაიდერთან. II ლიგის IX ზონაში საქართველოს 7 გუნდიდან მარცხი იწვნია ოთხმა. ყველაფერი ეს ხდება სეზონის ფინიშზე, მაშინ, როცა სწორედ ახლაა საჭირო მთელი სანებისყოფო ძალებისა და სპორტული ოსტატობის მობილიზება. დარჩენილ შეხვედრებში ჩვენმა გუნდებმა გაათკეცებული ძალით უნდა იბრძოლონ წარმატების მისაღწევად.**

**უმაღლეს ლიგაში კვლავ შესვენებაა, 26-27 ოქტომბერს შედგება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის ნახევარფინალური მატჩები, აგრეთვე, ევროპის საკლუბო გათამაშებათა შეხვედრები, საკავშირო ჩემპიონატის შემდგომი, 27-ე ტურის მატჩები გაიმართება 1 ნოემბერს. თბილისის „დინამო“ შინ მიიღებს მოსკოვის „სპარტაკს“, ხოლო ქუთაისის „ტორპედო“ — მოსკოვის „დინამოს“.**

• • •

**გუშინ მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ადგილობრივ „ტორპედოსა“ და ბაქოს „ნეფთჩის“ შორის.**

**გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 3:1.**

## I ლიგა

17 ოქტომბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 42-ე ტურის მატჩები.

დუშანბეში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები — ადგილობრივი „პამირი“ და ლანჩხუთის „გურია“. მასპინძლებმა ძლიერად ითამაშეს და დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 4:2.

რიგის „დაუგავამ“ თავის მინდორზე ფრედ დაამთავრა მატჩი ვოლგოგრადის „როტორთან“ — 1:1, ცსკა-მ კლაიპედაში მოუგო „ატლანტასს“ — 1:0, ხოლო ლვოვის ასკ „კარპატიმ“ კიშინიოვში დაამარცხა „ნისტრუ“ — 2:0.

ბათუმის „დინამომ“ ამ დღეს შინ მიიღო კემეროვოს „კუზბასი“. ჩვენმა ბათუმელმა კორესპონდენტმა ოთარ მურვანიძემ ამ მატჩის შესახებ ტელეფონით შეგვატყობინა.

**—ბათუმელებმა პირველ წრეში მარცხი განიცადეს კუზბასელ ფეხბურთელებთან შეხვედრაში და, ცხადია, ახლა განსაკუთრებული მონდომებით უნდა ებრძოლათ სარევანშოდ, მით უფრო, რომ მათ პირველ ხუთეულში მოხვედრის შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. სტუმრებმა მეტი მონდომება გამოიჩინეს, წარმატებით დაიცვეს კარი დინამოელთა ხშირი იერიშებისგან. განსაკუთრებით ძლიერად ითამაშა მეკარე კრიუკოვმა, რომელმაც რამდენიმე მეტად ძნელი ბურთი აიღო.**

**პირველი ტაიმის უშედეგო ბრძოლის შემდეგ ანგარიში „კუზბასმა“ გახსნა: რომანიუკმა კარგად გამოიყენა ერთ-ერთი პარტნიორის გადაცემა და 57-ე წუთზე თავით გაიტანა ბურთი.**

**82-ე წუთზე დინამოელთა დაცვის შეცდომის შედეგად პიმუშინმა თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი მეკარე კუციას და მხოლოდ 86-ე წუთზე შეძლო ათუაშვილმა ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს კემეროვოელმა ფეხბურთელებმა.**

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „კოტაიკი“ (აბოვიანი) — ასკ (ხაბაროვსკი) 2:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 4:1, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 4:1, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 3:2, ასკ (დონის როსტოვი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:1, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:2.

შემდგომი, 43-ე ტურის მატჩები ლიგაში გაიმართება 23 ოქტომბერს. ლანჩხუთის „გურია“ თავის მინდორზე მიიღებს კლაიპედის „ატლანტასს“, ხოლო ბათუმის „დინამო“ ზაპოროჟიეში შეხვდება „მეტალურგს“.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 19 ოქტომბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დაუგავა“ | 39 | 22 | 11 | 6 | 72-39 | 55 |
| „გურია“ | 40 | 23 | 5 | 12 | 67-60 | 51 |
| ცსკა | 39 | 21 | 8 | 10 | 54-33 | 50 |
| „პამირი“ | 40 | 19 | 10 | 11 | 66-40 | 48 |
| „როტორი“ | 40 | 21 | 5 | 14 | 67-50 | 47 |
| „ლოკომ.“ | 40 | 18 | 11 | 11 | 55-40 | 47 |
| ასკ „კარ.“ | 40 | 18 | 10 | 12 | 58-45 | 46 |
| „დინამო“ ბ. | 40 | 18 | 8 | 14 | 42-48 | 44 |
| „როსტსელ.“ | 40 | 17 | 10 | 13 | 72-59 | 44 |
| „ფაკელი“ | 40 | 17 | 7 | 16 | 47-40 | 41 |
| „კოლოსი“ | 40 | 15 | 11 | 14 | 39-43 | 41 |
| ასკ რ. | 40 | 15 | 10 | 15 | 52-43 | 40 |
| „შინიკი“ | 40 | 14 | 14 | 12 | 35-31 | 40 |
| „მეტალურ.“ | 40 | 15 | 8 | 17 | 51-48 | 38 |
| „სპარტაკი“ | 40 | 13 | 12 | 15 | 54-55 | 38 |
| „კუზბასი“ | 40 | 13 | 12 | 15 | 50-55 | 38 |
| „ფახთაქ.“ | 40 | 14 | 8 | 18 | 49-59 | 36 |
| „დინ.“ სტ. | 40 | 11 | 14 | 15 | 53-50 | 34 |
| „კოტაიკი“ | 40 | 11 | 12 | 17 | 37-46 | 34 |
| „ყუბანი“ | 40 | 11 | 13 | 16 | 34-43 | 34 |
| „ისკრა“ | 40 | 10 | 12 | 18 | 26-50 | 32 |
| ასკ ხ. | 40 | 10 | 11 | 19 | 43-55 | 31 |
| „ატლანტ.“ | 40 | 8 | 10 | 22 | 35-62 | 26 |
| „ნისტრუ“ | 40 | 5 | 8 | 27 | 26-90 | 18 |

## II ლიგა

16 ოქტომბერს შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ბოლოსწინა, 29-ე ტურის მატჩები: „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:0, „გიანჯლიკი“ (ბაქო) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 1:0, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 4:2, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „დინამო“ (სოხუმი) 3:1, „დილა“ (გორი) — „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) 1:0, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 1:3, „მეშახტე“ (ტყიბული) — „ოლიმპია“ (აშტარაკი) 3:0, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) 3:3.

გამოტოვებული მატჩი ბაქოს „გიანჯლიკსა“ და კიროვაბადის „ქიაფაზს“ შორის დამთავრდა „ქიაფაზის“ გამარჯვებით — 2:1.

### II ლიგა, IX ზონა

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 19 ოქტომბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ქიაფაზი“ | 29 | 21 | 4 | 4 | 66-23 | 46 |
| „დინამო“ ს. | 29 | 18 | 3 | 8 | 51-30 | 39 |
| „კოლხეთი“ | 29 | 16 | 2 | 11 | 53-46 | 34 |
| „დილა“ | 29 | 15 | 4 | 10 | 40-35 | 34 |
| „გიანჯლ.“ | 29 | 13 | 5 | 11 | 42-27 | 31 |
| „სპარტაკი“ | 29 | 13 | 5 | 11 | 38-38 | 31 |
| „ავტომობ.“ | 29 | 14 | 2 | 13 | 57-40 | 30 |
| „მეტალურ.“ | 29 | 13 | 4 | 12 | 46-42 | 30 |
| „ლოკომ.“ ს. | 29 | 12 | 6 | 11 | 39-39 | 30 |
| „ყარაბახი“ | 29 | 13 | 2 | 14 | 53-47 | 28 |
| „მეშახტე“ | 29 | 11 | 6 | 12 | 34-41 | 28 |
| „არაზი“ | 29 | 11 | 6 | 12 | 30-46 | 28 |
| „ლოკ.“ თბ. | 29 | 9 | 4 | 16 | 24-43 | 22 |
| „კოლხოზჩი“ | 29 | 9 | 3 | 17 | 29-42 | 21 |
| „შირაკი“ | 29 | 9 | 3 | 17 | 25-39 | 21 |
| „ოლიმპია“ | 29 | 4 | 3 | 22 | 20-69 | 11 |

# გარი კასპაროვი: „მიხარია, რომ შევძელი წოდების შენარჩუნება“

**9 ოქტომბერს, დილით, როცა ჭადრაკის მოყვარულები მსოფლიო პირველობაზე გამართულ მატჩ-რევანშის გადადებული პარტიის პოზიციას დაჰყურებდნენ, კორესპონდენტები პლანეტის პირველ მოჭადრაკეს ქვის კუნძულზე ჩაუსაფრდნენ, მაგრამ ჩემპიონის ბინა დაკეტილი იყო. გარი კასპაროვმა, შეინარჩუნა რა უმაღლესი წოდება, პოზიცია გაანალიზა, ჩვეულებას უღალატა და ასპარეზობის დამთავრებამდე მისცა ინტერვიუ საკდესის კორესპონდენტს.**

— უნდა ვთქვა, რომ თავიდანვე მჯეროდა წარმატების, და ეს მტკიცე რწმენა მატჩის ძნელმა პერიოდმაც ვერ შემირყია, როცა ზედიზედ სამი პარტია წავაგე და ანგარიშში თვალსა და ხელს შუა გამიქრა სამქულიანი უპირატესობა. თუ სპორტული შედეგის ციფრობრივი გამოსახულება არ მაკმაყოფილებს, მატჩის შემოქმედებით მხარეზე ამას ვერ ვიტყვი.

ჩემი აზრით, მატჩის მსვლელობისას მნიშვნელოვანი უპირატესობა მქონდა, თუმცა იოლად ვერ ვიმარჯვებდი. დიდი ძალები შევალიე მე-16 პარტიას. ბრძოლა ნაადრევად მივიჩნიე დამთავრებულად და ამ თავდაჯერებისთვის დავისაჯე კიდეც: მე-17 პარტია წავაგე. დავმარცხდი მე-18 პარტიაშიც. რატომ, ეს ძნელი ასახსნელია — შეცდომა დავუშვი მაშინ, როდესაც ნახევარი ნაბიჯი მრჩებოდა გამარჯვებამდე. ამას მოჰყვა, შეიძლება ინერციით, წაგება მომდევნო, მე-19 პარტიაშიც. მაგრამ ვგრძნობდი, რომ უპირატესობა არ მქონდა დაკარგული, რაც მომდევნო პარტიებმა დაადასტურა...

ამ მატჩში არ ყოფილა არავითარი დამატებითი ფაქტორები, რაზეც ადრე მიუთითებდნენ (მაგალითად, ამბობდნენ კასპაროვი კარპოვს დებიუტში სჯობნისო). არ მახსოვს მოწინააღმდეგე მომზადებულ ვარიანტზე „დამეჭირა“. სამაგიეროდ შემიძლია ათამდე ისეთი პარტია დაგისახელოთ, რომელშიც ჩემი მოწინააღმდეგე სიახლეებს მთავაზობდა და რეგულარულად მიგებდა „ხაფანგებს“. ჩემი ხუთივე გამარჯვება — ბრძოლის შედეგია. მხოლოდ მეოთხე პარტიაში მიიღო კარპოვმა დებიუტშივე ცუდი პოზიცია, და ეს პარტია მე მოვიგე.

**— რატომ მიმართავდით გრიუნფელდის დაცვას ასე ჯიუტად?**

— ეს დებიუტი სპეციალურად მოვამზადეთ და მასზე დიდ იმედებს ვამყარებდი. მოგეხსენებათ, მოულოდნელობის ეფექტი დიდია, მაგრამ გრიუნფელდის დაცვამ ბოლომდე არ გამიმართლა, „წაიფორხილა“, თუმცა თოთხმეტი პარტიის შემდეგ შედეგს თითქმის არაუშავდა. რვა შეხვედრაში შავებით თამაშის დროს იგი შვიდჯერ გამოვიყენე და ექვს პარტიაში ყაიმს მივაღწიე.

**— თქვენი აზრით, რა უნდა იყოს მატჩ-რევანშში კარპოვის წარუმატებლობის მიზეზი?**

— მე შემიძლია გითხრათ მისი დამარცხების მიზეზი ჩვენს პირველ მატჩში. მაშინ კარპოვი არ იყო მზად დებიუტში საბრძოლველად. არ მოელოდა, მე თუ თამაშს ხარისხობრივად გავაუმჯობესებდი. ამ მატჩში კი იქმნებოდა როგორც მარტივი, ისე ურთულესი პოზიციებიც, უდიდეს გამძლეობასა და თავდაჭერას რომ მოითხოვენ. თუ ახლახან დამთავრებულ მატჩს ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, შეგვიძლია დავასკვნათ,

იხ. მე-4 გვ.

## კომპოზიციის კუთხე

### ხელმძღვანელობს საერთაშორისო არბიტრი საჭადრაკო კომპოზიციაში ვაჟა ნეიძე.

კომპოზიცია ჭადრაკის ბევრ მოყვარულს იზიდავს. იმ გონებამახვილური და ლამაზი იდეების შეცნობა-აღმოჩენა, ამოცანებსა და ეტიუდებში რომ გვხვდება, მეტად თავისებური შემოქმედებითი პროცესია, რომელსაც ყოველთვის ჰყავდა თაყვანისმცემელთა არმია — რიცხვით მზარდი და გეოგრაფიულად განვრცობილი.

რით არის კომპოზიცია მიმზიდველი? ამ კითხვაზე ერთნიშნა პასუხი არ არსებობს. ზოგს ამოხსნის პროცესი — ჭადრაკის დაფის საიდუმლო ლაბირინთებში მოგზაურობა იტაცებს; ზოგს ავტორისეული ჩანაფიქრის პოვნა, ვის კიდევ — სხვა მოჭადრაკესთან გაჯიბრება ან თავისი საჭადრაკო ძალის გამოცდა. ზოგი შედგენის ჟინს შეუპყრია, ჭადრაკის ჯადოსნურ სამყაროში შესვლის და მისი შეცნობის საშუალებას. ერთი სიტყვით, მიზეზი ბევრია, შედეგი კი ერთი და დადებითი — საჭადრაკო კომპოზიცია ამდიდრებს ადამიანის სულიერ სამყაროს, ამაღლებს ზოგადსაჭადრაკო კულტურას.

საქართველოში კარგადაა განვითარებული საჭადრაკო კომპოზიცია. მაგრამ საჭადრაკო ხელოვნების ამ უნიკალურ დარგს მოვლა და შემდგომი განვითარება სჭირდება. ამ საქმეში უპირველესი დამხმარეა პრესა, ინფორმაციის წყარო. „ლელო“, ითვალისწინებს რა საჭადრაკო პოეზიის მოყვარულთა ინტერესებს და ქართული კომპოზიციის წინაშე დასმულ ამოცანებს, ქმნის „კომპოზიციის კუთხეს“, რომელსაც უხელმძღვანელებს საერთაშორისო არბიტრი საჭადრაკო კომპოზიციაში ვაჟა ნეიძე.

## საპატიო მედეგი

საჭადრაკო კომპოზიციაში ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი და პოპულარული შეჯიბრებაა გუნდური პირველობა, რომელიც საბჭოთა კავშირში 50-იანი წლებიდან რეგულარულად იმართება. ეს არის კომპოზიციის სხვადასხვა ჟანრში ერთდროულად ორგანიზებული თემატური კონკურსების ერთობლიობა, რომელშიც მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები გუნდები მონაწილეობენ. მათ განსაზღვრულ ვადებში უნდა წარმოადგინონ მსაჯების მიერ სპეციალურად შერჩეულ თემებზე შედგენილი კომპოზიციები, რომელთა შეფასებაც 15-ბალიანი სისტემით ხდება.

წელს საჭადრაკო კომპოზიციის ცენტრალურმა კომისიამ დაამტკიცა XII საკავშირო გუნდური შეჯიბრების (1984-1985 წწ.) საბოლოო შედეგები: I ადგილი — რსფსრ (120 ქულა), II—უკრაინა (120), III — მოსკოვი (108,5), IV — საქართველო (94), V — ლენინგრადი (91,5), VI — ლატვია (88,5), VII — აზერბაიჯანი (77,5), VIII— მოლდავეთი (74,5), IX — სომხეთი (67,7), X — ბელორუსია (65), XI — ლიტვა (45), XII — ყაზახეთი (33,5), XIII — უზბეკეთი (15), XIV — ყირგიზეთი (14).

ყალბი მოკრძალების გარეშე უნდა ითქვას, რომ ჩვენი კომპოზიტორების მიერ მოპოვებული IV ადგილი ისეთ ძლიერ კოლექტივებთან პაექრობაში, როგორიცაა ლენინგრადის, ლატვიის, ბელორუსიის, მოლდავეთის გუნდები, დიდი სპორტულ-შემოქმედებითი წარმატებაა და რესპუბლიკის ჭადრაკის გულშემატკივართა ყურადღებას იმსახურებს.

შეჯიბრება ტარდებოდა კომპოზიციის ექვს განყოფილებაში, ათ დაფაზე: ორსვლიანი, სამსვლიანი, მრავალსვლიანი ამოცანები და ეტიუდები წარმოდგენილი იყო ორ-ორ დაფაზე, IX დაფა დაეთმო ამოცანებს ნადიშამათზე, ხოლო X — თვითშამათზე. გუნდს შეეძლო ყოველ დაფაზე ორ-ორი ნაწარმოებით გამოსვლა, რომელთაგან ჩათვლას იძლეოდა ერთი საუკეთესო. გუნდის თითოეულ წევრს შეეძლო სამ განყოფილებაში მიეღო მონაწილეობა.

ჩვენი რესპუბლიკის გუნდის წარმატებას ხელი შეუწყო გასულ წელს თბილისში ჩატარებულმა საწვრთნელმა შეკრებამ და მისი მონაწილეების დამოკიდებულებამ ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისადმი, საქართველოს სპორტსახკომის საქმიან მხარდაჭერას ჩვენმა პრობლემისტებმა და ეტიუდისტებმა კარგი შედეგით უპასუხეს. გუნდს ჩასათვლელი ქულები მისცეს: ი. აკობიამ, დ. გურგენიძემ, რ. თავარიანმა, ვ. კალანდაძემ, ი. კრიხელმა, ვ. ნეიძემ, შ. სუხიტაშვილმა. მაღალი შედეგები იქნა ნაჩვენები მრავალსვლიანი ამოცანების, ეტიუდების, ნადიშამათის და თვითშამათის დაფებზე. მათ ფონზე შედარებით მკრთალი აღმოჩნდა ქულების ჯამი ორ და სამსვლიანი ამოცანების დაფებზე. სამწუხაროდ, ეს მაჩვენებელი უკანასკნელ შეჯიბრებებზე ჩვენი გუნდის „აქილევსის ქუსლად“ იქცა. მიზეზი — რესპუბლიკის პრობლემისტთა უმრავლესობა სერიოზულად არ მუშაობს ამ ჟანრებში. ბუნებრივია, ეს გარემოება ზღუდავს საერთო-გუნდური წარმატების შესაძლებლობებს.

გუნდის საერთო ყულაბაში ქულათა განსაკუთრებით დიდი მარაგი შეიტანეს გორელმა ავტორებმა — დიდოსტატმა იოსებ კრიხელმა (26,5 ქულა) და შერგილ სუხიტაშვილმა (25,5). კოლექტივის ინტერესებისათვის შეჯიბრების მსვლელობის დროს საჭირო გახდა ზოგიერთი მონაწილის ჟანრული სპეციალიზაციის შეცვლა, რამაც სასურველი შედეგი მოგვცა. ასე მაგალითად, მსაჯთა თემატურ დავალებებს წარმატებით გაართვეს თავი ჩვენმა წამყვანმა ეტიუდისტებმა, საერთაშორისო ოსტატებმა: მრავალსვლიანი ამოცანის დაფაზე — ველიმირ კალანდაძემ, ნადიშამათის ამოცანის დაფაზე — დავით გურგენიძემ, მაგრამ მომავლის პრობლემად რჩება ქართული საამოცანო კომპოზიციის განვითარება.

**ი. კრიხელი**
**14 ქულა**



შამათი 4 სვლაში

V დაფის თემა: „ვარიანტები სანიმუშო შამათებით (ეკონომიური და სუფთა შამათების სინთეზური სახე), რომლებიც ერთი და იგივე თეთრი ფიგურის აქტიური შეწირვით იქმნება“. მცდარი კვლები: 1. ეd7? ეa8! და 1. ლ:d4? კ:d4! ამოცანას ხსნის 1. ლc3! რომელიც ლამაზ საშამათო მუქარას შეიცავს: 2. მe6+! მ:e6 3. კe7 მფe8 4. ლ:c6×. თემატური ვარიანტები: 1. ...c5 2. ლ:d4! (შეწირვა) cd 3. მe6+ მფe8 4. ეe7×, 1. ...მფe8 2. ლh3! (შეწირვა) ე:h3 3. ეg8+ მფd7 4. ეd8×, 1. ...კc4 2. ეd7 ეa8 3. ლa3+! (შეწირვა) ე:a3 4. ეd8×. ოთხივე ვარიანტი ეფექტური თამაშის შემდეგ მომხიბლავი სანიმუშო შამათებით მთავრდება. ოსტატურად შექმნილი მაღალმხატვრული ნაწარმოებია!

**დ. გურგენიძე**
**13 ქულა**



ნადიშამათი 2 სვლაში

IX დაფის თემა: „ამოცანა-ტყუპები ერთი და იგივე ფიგურის გადაადგილებით“. ა) დიაგრამა. 1. ეc4 (მკითხველებს შევახსენებთ, რომ ნადიშამათში იწყებენ შავები და თეთრების დახმარებით თავის მეფეს აშამათებენ) ეc2 2. ქb4 მc5×; ბ) მხედარი ზის d6-ზე. 1. ეa2 ეb1+ 2. მფa3 მb5×; გ) მხედარი — c4-ზე. 1. ეa5 ეb1+ 2. მფa4 მb6×; დ) მხედარი —b2-ზე. 1. ეa2 მd3 2. მფa3 ეc3×; ე) მხედარი — a2-ზე. 1. ეa5 ეb1+ 2. მფa4 ეb4X; ვ) მხედარი — b5-ზე. 1. ეa5 მd4+ 2. მფa4 ეc4×.

ქამელეონური შამათების გამოფენა!

## ინფორმაცია

**ციურიხი.** 17 წლის დასავლეთგერმანელმა ჩოგბურთელმა გოგონამ შტეფი გრაფმა წლევანდელი „გრან პრის“ პროგრამით გათვალისწინებული მეშვიდე შეჯიბრებაც მოიგო — შვეიცარიის ამ ქალაქში გამართული საერთაშორისო შეჯიბრების ფინალში ჩეხოსლოვაკიელი ჰელენა სუკოვა დაამარცხა — 4:6, 6:2, 6:4.

**სტოკჰოლმი.** აქ გაიმართა საერთაშორისო მძლეოსნური კროსი. ქალთა შორის 15-კილომეტრიან ტრასაზე ყველას 33 წლის ნორვეგიელმა მსოფლიო ჩემპიონმა გრეტე ვაიტცმა აჯობა — 53.06. ვაჟთა შორის პირველობა 30-კილომეტრიან დისტანციაზე ტანზანიელმა სულეიმან ნიამბუიმ მოიპოვა — 1:36.38.

**პარიზი.** ქალაქის ქუჩებში გამართული საერთაშორისო მძლეოსნური შეჯიბრების ტრასა 20 კილომეტრს შეადგენდა. ფინიშთან პირველი მიიჭრა ჯიბუტელი სტაიერი ჰამედ სალხი — 57.19.

**სკოტსდეილი (აშშ).** ცნობილმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა ჯონ მაკინროიმ, რომელიც ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა სპორტს, ზედიზედ მესამე საერთაშორისო ტურნირი მოიგო. ამ ქალაქში გამართული საერთაშორისო შეჯიბრების ფინალში მან თავისი თანამემამულე კევინ კარენი დაამარცხა — 6:3, 3:6, 6:2.

**ჩიკაგო.** 100-კილომეტრიანი ზემარათონული რბენა ქალაქის ქუჩებში ამერიკელმა სტაიერმა რეი კლარკმა მოიგო — 7:18.54.

**ტულუზა.** ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალში ახალგაზრდა შვედმა იან გუნარსონმა დაამარცხა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ჩეხი მიროსლავ მეჩირი. მაგრამ ნახევარფინალში მას ფრანგმა გი ფორჟემ აჯობა — 4:6, 6:3, 6:2.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

### „ა“ ფინალის ფინიში

ქუთაისელმა რეგბისტებმა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო სამი შეხვედრა საკუთარ მოედანზე „დინამოს“ სტადიონზე გამართეს. „მშენებელმა“ ბოლო ტურის ორ მატჩში ჯერ ალმაათელი არმიელები დაამარცხა — 21:12 და 16:9, შემდეგ გამოტოვებული მატჩი გამართა მოსკოვის ოლქის ქალაქ მონინოს ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდთან. თამაში დასრულდა ფრედ — 13:13. ორი გამოტოვებული შეხვედრა გამართეს მოსკოვის „ფილიმ“ და კიევის „ავიატორმა“. პირველ მატჩში გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 15:9, მეორეში კიევლებმა — 19:10. ამ მატჩებით დასრულდა რეგბისტთა წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის „ა“ ფინალური ტურნირი.

სატურნირო ცხრილში გუნდები საბოლოოდ ასე განლაგდნენ:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსა | 39 | 30 | 5 | 4 | 65 |
| „სლავა“ | 39 | 24 | 5 | 10 | 53 |
| „ფილი“ | 39 | 23 | 1 | 15 | 47 |
| ასკ | 39 | 18 | 2 | 19 | 38 |
| „ავიატორი“ | 39 | 18 | 2 | 19 | 38 |
| „ლოკ.“ (მ.) | 39 | 17 | 2 | 20 | 36 |
| ეტს | 39 | 15 | 1 | 23 | 31 |
| „მშენებ.“ | 39 | 13 | 3 | 23 | 29 |

**შენიშვნა:** გათამაშების ცხრილის შედგენისას ვსარგებლობთ ქულათა დარიცხვის ტრადიციული სისტემით: მოგება — 2, ფრე — 1, წაგება — 0 ქულა.

## გარი კასპაროვი: „მიხარია, რომ შევძელი წოდების შენარჩუნება“

(დასასრული)

რომ კარპოვი მატჩისთვის ცუდად არ მომზადებულა.

**— ორ ნაწილად გაყოფილ მატჩზე რას იტყვით?**

— არ მომწონს. მატჩი ეს ერთი, მთლიანი შეჯიბრებაა. ბუნებრივია, მოჭადრაკე უნდა განეწყოს არა მარტო თამაშის, არამედ ადგილის მიმართაც, პირობებსაც უნდა შეეჩვიოს. ახლა ფაქტიურად ორი მატჩი გამოვიდა. ეს მეტისმეტად დამღლელია და სპორტული ბრძოლის მსვლელობაზეც უარყოფითად მოქმედებს. ჩემი აზრით, მატჩი ერთ ადგილზე უნდა ჩატარდეს.

**— ხომ არ შეცვლილა თქვენი დამოკიდებულება ორწლიანი ციკლის მიმართ?**

— რა თქმა უნდა, არა. ასეთი აჩქარება არავის სჭირდება. იგი არ იძლევა ხეირიანი დასვენების, მომხდარის საფუძვლიანი გააზრებისა და სხვა შეჯიბრებებში გამოსვლის საშუალებას.

**— ტრადიციული შეკითხვა: უახლოესი მომავლის გეგმები.**

— ბავშვებს შევპირდი, რომ ბაქოს პიონერთა სასახლის გუნდის შემადგენლობაში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე გამართულ ტრადიციულ ტურნირში ვითამაშებ. მუშაობას გავაგრძელებ ნორჩ მოჭადრაკეთა სკოლაში, რომელსაც მიხეილ ბოტვინიკთან ერთად ვხელმძღვანელობ. უკვე გვაქვს გარკვეული მიღწევები: ვლადიმერ აკოპიანი 16 წლამდე ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა, აზერბაიჯანის გოგონათა გუნდმა კი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის საჭადრაკო ტურნირში გაიმარჯვა.

დიდ იმედებს ვამყარებ ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა კომპიუტერული საჭადრაკო კლუბების გავრცელებაზე, რომლის პრეზიდენტადაც მე ამირჩიეს. როგორც ცნობილია, პირველი ასეთი კლუბი მოსკოვში შეიქმნა. ახლახან მისი ფილიალი გაიხსნა თბილისში. მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში ტალინსა და ნოვოსიბირსკშიც ექნებათ ასეთი კლუბები. სასურველია იგი ბაქოშიც შეიქმნას.

მინდა, ბოლოს და ბოლოს, დავუბრუნდე სატურნირო ატმოსფეროს. აუცილებლად გამოვალ მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში. მიწვეული ვარ ბრიუსელის საერთაშორისო ტურნირზეც, რომელიც დეკემბერში გაიმართება ექვსი ცნობილი დიდოსტატის მონაწილეობით. მომავალი წლის დასაწყისში ამერიკის ქალაქ სიეტლში გაიმართება დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც 1990 წლის კეთილი ნების მეორე თამაშების ერთგვარი რეპეტიცია იქნება.

ძნელია უფრო შორეული გეგმები დაისახო, ვინაიდან მსოფლიო პირველობაზე მომდევნო მატჩამდე არც ისე დიდი დრო რჩება. ფიდე-ს გადაწყვეტილებით იგი ერთი წლის შემდეგ უნდა გაიმართოს.

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 12 ოქტომბერს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი, 41-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** გაიყიდა 676159 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (49 ბარათი) მოგება 955 მანეთია, ოთხისთვის (3594) — 16, სამისთვის (32844) — 3.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** გაიყიდა 5 275 592 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (9 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (2637) — 183, სამისთვის (100840) — 10.

41-ე ტირაჟებისა და ატირაჟიანი ბარათების (32-დან 41-ის ჩათვლით) მოხდება 27 ოქტომბრიდან 27 ნოემბრის ჩათვლით.

## ინფორმაცია

### ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** 19 ოქტომბერი. რიტმული ტანვარჯიში — **9.40 (1)**; სპორტლოტოს ტირაჟი — **10.20 (1)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში — **14.45 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი) — **18.00**; საფეხბურთო მიმოხილვა — **24.00 (1)**.

**20 ოქტომბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; საფეხბურთო მიმოხილვა — **9.40 (1)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში. პირველი ლიგა: „დაუგავა“ (რიგა) — ცსკა — **22.40 (2)**.

**საქართველოს ტელევიზია.** 19 ოქტომბერი. საფეხბურთო მიმოხილვა — **24.00.**

**20 ოქტომბერი.** საფეხბურთო მიმოხილვა — **9.40.**

რედაქტორის მოადგილე
**თ. გაჩეჩილაძე.**

„ლოკომოტივის“ სტადიონი
20 ოქტომბერი
ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობა
II ლიგა, IX ზონა
„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური)
თამაშის დასაწყისი 18 ს. 15 წ.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 05842